ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 50

"24" ნოემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund"-ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund"-ისგან გრანტის მიღების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 ნოემბრის №41.07.798 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, იაპონური ბაღის მოწყობისათვის გაწეული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, „JEC Fund"-ისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 5,600,000 (ხუთი მილიონ ექვსასი ათასი) იენის ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ , №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე